გასტრონომიული კომპონენტის შემცველ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სემანტიკური გარდაქმნის თავისებურებანი (ფრანგული ენის მასალაზე)

ციური ახვლედიანი, მარიამ ბურჩაკ-აბრამოვიჩი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com
Mariam.burchak-abramovichi@tsu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.11.02

ჩვენ ნაშრომში წარმოდგენილია ფრაზეოლოგიური ერთეულები გასტრონო-მიული კომპონენტით. ამ ეტაპზე, ჩვენი მიზანია, ვაჩვენოთ, რომ ფრაზეოსემანტიკურ ერთეულებში, რომლებშიც შედის ფრაზეოლექსი, ჩნდება სხვადასხვა ხარისხის აქტივობა. განვიხილოთ ეს დებულება მაგალითებით: ფრაზეოლოგიზმები **avoir du pain sur la planche** / მრავალი საქმის, სამუშაოს ქონა, **se battre pour un morceau de pain** / ბრძოლა გადარჩენისათვის, **travailler pour le pain quotidien** / პურის ფულის გამომუშავება, **briocher son avenir** / კარგი მომავლის უზრუნველყოფა საკუთარი თავისათვის, ფლობენ შემდეგ მახასიათებლებს: ნაწილობრივი იდიომატურობა, ნაწილობრივი მოტივირებულობა, ფრაზეოლო-გიური მნიშვნელობა, რაც წარმოდ-გენილია შეცვლილი სახით (მოქმედების შესრულება, რომელიც მიმართულია ობიექტის მიმართ, აღნიშნული ფრაზეოლექ-სით, გადატანითი მნიშვნელობით).

როგორც კვლევამ აჩვენა, ფრაზეოლექსის სემანტიკა აქტიურია სხვადასხვა შემთხვევაში. ასეთი მოვლენა უკავშირდება: ა). ფრაზეოლოგიზაციის პროცესის სინტაგმატურ თავისებურებებს; ბ) მისი მრავალმნიშვნელობის პრობლემას. გამოვლინდა ამგვარი ტიპის, სემანტიკური კომპოზიციონალურობის სამი ვარიანტი. დაწვრილებით განვიხილოთ მიღებული შედეგები.

1. ფრაზეოლექსი გამოიყენება საწყისი მნიშვნელობით მისი მონოსემიისას ან ერთ-ერთი მისი მნიშვნელობით მისი პოლისემიისას. ასეთ შემთხვევაში, მოცემული ლექსემის ჩარჩოებში, არ ხდება არავითარი სემანტიკური ცვლილებები ფრაზეო-ლოგიზაციის პროცესში. სემანტიკური ინდუქციის ხარისხი, ფრაზეოლოგიური ერთეულის სხვა კომპონენტთა მხრივ, მინიმალურია, რაც ადასტურებს ფრაზეოლოგიზმის კომპონენტთა დაბალ კომპოზიციონალურობას. ფრაზეოლოგიური ერთეულის ხატოვანება დაკავშირებულია ლექსემის გადატანითი მნიშვნელობის მეტაფორულობასთან, რომელიც თავდაპირველად

შეტანილი იყო ფრაზეოლოგიურ ერთეული, მაგრამ არ წარმოიქმნა ფრაზეოლოგიზაციის პროცესში. მაგალითად, ლექსემა **pain** «პური» წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელობას **symbole de la nourriture** «კვება, სარჩო», რომელიც არსებობს ფრაზეოლოგიზმის **gagner son pain à la sueur** «ოფლით მოიპოვო შენი პური» მნიშვნელობაში. ასევე ლექსემა **salade** «სალათა», წარმოებული მნიშვნელობით, აღნიშნავს «უწესრიგობას, უხერხულობას, სხვადასხვაგვარ ხალხთა შეკრებას». ფრაზეოლოგიზმის **salade de société** შემადგენლობაში ეს მნიშვნელობა შენარჩუნებულია უცვლელად: «სხვადასხვა ჯურის საზოგადოება». ამგვარად, ფრაზეოლოგიზაციის პროცესში, სემანტიკურ გარდაქმნათა არარსებობა შეიძლება კვალიფიცირდეს როგორც ფრაზეოლექსის სემანტიკის სტატიკა.

2. **ფრაზეოლექსი**, ისევე როგორც წინა შემთხვევაში, **გამოიყენება თავისი საწყისი მნიშვნელობით, ან მისი პოლისემიის წარმოებული მნიშვნელობით.** ზემოთ აღწერილი მისი სტრუქტურის სტრუქტურასთან ფორმალური მსგავსებით, სემანტიკური ვალენტიანობის კანონები წარმოდგენილია სხვაგვარად. კერძოდ, საქმე ეხება ფრაზეოლოგიზმის შემადგენელ ურთიერთზიარ ინდუქციას, რომლის დროსაც სემანტიკურ კომპონენტთა გავლენით, იმპლიცირებულ სემემაში, რომელიც გამოხატავს კვების პროდუქტს, მაღლდება ან ემოციური მარკირების ფრაზეოლოგიზმის დარჩენილი კომპონენტის ხარისხი, ან წარმოიშვება მისი ინტენსივობის ხარისხის გაძლიერება. მაგალითად, ფრანგულ ერთეულში, **long comme un jour sans pain /** ხანგრძლივი, მოწყენილი, დაღვრემილი, როგორც დღე პურის გარეშე, უპუროდ. ფრაზეოლექსი **pain** «პური», მისი სინტაგმატური და სემანტიკური თვისებების ძალით, ლექსემა **long** «ხანგრძლივთან» ერთად აქტუალიზირებს ისეთ სემებს, როგორებიცაა «სიმშვიდე», «მაძღრობა» (შესაბამისად, **sans pain** «პურის გარეშე, უპუროდ» აღნიშნავს «ნაღვლიანობას, სევდიანობას»).

ასეთი პროცესი, ჩვენი აზრით, უკავშირდება ფრაზეოლოგიზმის შემადგენელი სემანტიკის კომპოზიციურ თვისებებს, რომელთა შეთავსება არსებობს იმ კატალიზატორებით, რომლებიც ექსპლიცირებენ ლატენტურობის, ფარულობის სფეროს ელემენტებს. განვიხილოთ ამ ტიპის კიდევ ერთი ნიმუში. ფრაზეოლოგიური ერთეული **blanc comme le lait** / თეთრი, როგორც რძე - ასევე ადასტურებს ფრაზეოლოგიზაციის პროცესის აღწერილი ვარიანტის არსებობას. სახელდობრ, ფრაზეოლექსი **lait** «რძე» ექსპლიცირებს ისეთ სემანტიკურ ნიშანს, როგორიცაა «სითეთრე, ფერმკრთალობა», რაც აძლიერებს ფერის იტენსივობას. მოვიყვანოთ კიდევ მაგალითები: **cochon de lait** / რძის მწოველი გოჭი, **être doux comme du lait tiède** / რბილი, მშვიდი ადამიანი.

3. **ფრაზეოლექსი, რომელიც შეიცავს მნიშვნელობის გასტრონომიულ კომპონენტს, იძენს ახალ მნიშვნელობას ფრაზეოლოგიზაციის პროცესში.** ამ მოცემულ შემთხვევაში, ჭარბობს სემანტი-კური - დინამიკური პროცესები: ფრაზეოლოგიური ერთეულის შემადგენლობაში, ფრაზეოლექ-სის მნიშვნელობა გამოირჩევა იმ მნიშვნელობათაგან, რომლებიც წარმოდგენილია სალექსიკონო დეფინიციებში, როგორც წარმოებული ლექსემები. ასეთი ახალი მნიშვნელობის აქტუალიზაცია განპირობებულია, ისევე როგორც ჯგუფ 2-ში, ფორმირებული ფრაზეოლოგიზმის სინტაგმატური თვისებებით და ასევე განისაზღვრება იმ სემანტიკური

პოტენციალით, რომელიც რეალიზდება ამ თვისებათა წყალობით. განსხვავება ჯგუფ 2 -სა 3 -ს შორის არის ის, რომ ჯგუფ 2 -ში საქმე ეხება იმ სემების რეალიზაციას, რომლებიც ვერ ქმნიან ახალ სემებს, მე -3 ჯგუფში კი ჩნდება ფრაზეო-ლექსის ახალი მნიშვნელობა. მაგალითად, ფრაზეოლოგიურ ერთეულში **avoir du bon pain** / კარგი შემოსავლის ქონა, ფრაზეოლექსი **pain** «პური» გარდაიქმნება მნიშვნელობით «გასამრჯელო, შემოსავალი», მაგრამ ფრაზეოლოგიურ ერთეულში **raconter des salades** / მოყოლა ტყუილების, მონაგონის, ფრაზეოლექსი იძენს გამოგონილი ამბების მნიშვნელობას. აუცილებელია აღვნიშ-ნოთ, რომ ლექსემა **salade** -ს «სალათა» აქვს 2 მნიშვნელობა - 1. «სალათა», 2. «უთავბოლობა, დომხალი». ფრაზეოლოგიზმი **en faire un fromage** (სიტყვა-სიტყვით: «რაღაცის გაკეთება ყველისაგან») აღნიშნავს «ბუზისაგან სპილოს გაკეთებას» (ანუ გაზვიადება). ამ მაგალითში შეინიშნება აქტუალიზაცია სემისა «მომზადების, დამზადების სირთულე», რაც პოტენციალურად არსებობს სემემაში **fromage** «ყველი». მაგალითში **c'est une vraie viande** / ეს არის ძლიერი მამაცი ადამიანი (სიტყვა-სიტყვით: «ეს არის ნამდვილი ხორცი»), ფრაზეოლოგიზაციის პროცესში, აქტუალიზირდება იმპლიციტური სემა «ძალა», რომელიც შეიცავს ფრაზეოლექსს «ხორცი».

ამგვარად, კვლევის შედეგად მიღებული დასკვნებით, შეგვიძლია დავადგინოთ: 1.ფრაზეოლოგიური ერთეულის სემანტიკური კომპოზიციონალურობის დონეები შეიძლება კლასიფიცირდეს ფრაზეოლექსის სემანტიკური ვალენტობის ხარისხის შესაბამისად.

2. ფრაზეოლექსის სემანტიკური ვალენტობის ხარისხები განსაზღვრავენ ფრაზეოლოგიზმის სემანტიკის კომპოზიციონალურობის სემანტიკის ხარისხებს, რომლებიც განლაგდებიან იერა-რქიული პრინციპით (გადიდების ხარისხის მიხედვით).

3. ფრაზეოლექსის სემანტიკური ვალენტურობის ხარისხის განსაზღვრა ხორციელდება ლექსიკოგრაფიული კრიტერიუმებით. ვალენტურობის დაბალ ხარისხს ფლობენ ის ლექსემები, რომლებიც წარმოდგენილნი არიან ლექსიკონებში თავიანთი თავისუფალი (ფრაზეოლოგიურად არადამოკიდებული) მნიშვნელობებით.

4. ერთ-ერთი მიზანი, რომელიც განსაზღვრავს ფრაზეოლექსის სემანტიკური ვალენტურობის ხარისხს, წარმოადგენს მისი სემანტიკური შეთავსება ფრაზეოლოგიური ერთეულის დარჩენილ კომპონენტთან. ამგვარად, სემანტიკური ინდუქციისა და სემანტიკური კომპოზიციონალურობის პროცესები, რომლებიც უკავშირ-დებიან ფრაზეოლოგიზმის ფორმირებას, ექვემდებარებიან განსაზღვრულ კანონ-ზომიერებებს სემანტიკურ, სინტაგმატიკურ და საკომპოზიციო ასპექტებში.

საკვანძო სიტყვები: ფრაზეოლოგიზაციის პროცესი, სემანტიკური ვალენტურობა, სემანტიკური კომპოზიციონალურობის ხარისხი, სემანტიკური ნიშნის ექსტერიორიზაცია და ინდუქცია.

ლიტერატურა:

ფრანგულ - ქართული 3 ტომიანი ლექსიკონი, გამომცემლობა "მედეა", თბილისი, 1998 -2000 წ.

Dictionnaires Le Robert, Paris, 2017.

Charles Bally, Traité de stylistique française, Paris, 1953.

Tsiuri Akhvlediani Maria Burchak-Abramovich
Iv. Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com
Mariam.burchak-abramovichi@tsu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.11.02

Features of the semantic transformation of phraseological units containing a gastronomic component

(Based on a corpus of the French language)

Abstract

The aim of our study is to identify the semantic compositionality of French phraseological units containing a gastronomic component. Three degrees of semantic compositionality were identified. The study revealed that the semantics of phraseological units with the meaning "food" demonstrates regular dynamic characteristics in the process of phraseological unit formation: its valence properties are determined by the semantic and syntagmatic properties of the phraseological unit. To identify and classify the semantic valence of phraseological units, we used methods of component analysis of linguistic material and contextual analysis. Phraseological units containing the phraseological unit “food” (1200 units) were used as research material.

Keywords: phraseological process, semantic valence, degree of semantic compositionality, externalization of a semantic sign, semantic induction.